# გაკვეთილის გეგმა

ვლებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი: თეა ჩიკვაიძე

საგანი: ინგლისური ენა

სწავლების საფეხური/კლასი: 5 კლასი

მოსწავლეთა რაოდენობა: 9

გაკვეთილის თემა: ველური ცხოველები.

გაკვეთილის მიზანი: გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ:

- ✓ გაიღრმაონ ცოდნა უკვე ნასწავლი ცხოველების შესახებ.
- ✓ გაეცნონ ახალი ცხოველების შესახებ ინფორმაციას.მათ სახელწოდებებს, ტიპს,საცხოვრებელ არეალს და თავისებურებებს.
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი პროექტების წარდგენას.
- ✓ თითოეული მათგანის ადგილს კვებით ჯაჭვში და ადამიანების დამოკიდებულებებს მათ მიმართ.
- ✓ პასუხისმგებლობის გაზიარება მუშაობის პროცესში

| № | აქტივობის აღწერა | გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები | კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები | სასწავლო რესურსები | დრო (წ) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მასწავლებელი წარადგენს საგაკვეთილო თემას და ამ თემასთან დაკავშირებულ პრეზენტაციას,რომელშიც მოსწავლეებიც არიან ჩართულნი. | პრეზენტაცია | მთელი კლასი | ppt | |
| 2 | მოსწავლეები წარადგენენ დავალებების სახით მოცემულ პროექტებს | პრეზენტაცია | ინდივიდ. | სხვადასხვა | |
| 3 | მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად. მასწავლებელი უკითხავს გამოცანებს (Riddles) ცხოველების შესახებ თითოეულ გუნდს ინგლისურ ენაზე. მოსწავლეები იცნობენ მათ | კონკურსი | ჯგუფური | დაფა,ცარცი, წიგნი | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | და იმსახურებენ ერთ ქულას სწორ პასუხში. | | | | |
| 4 | მასწავლებელი საუბრობს საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველების შესახებ და წარადგენს დამატებით ინფორმაციას რამოდენიმე მათგანზე. | პრეზენტაცია | | ppt | |
| 5 | მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის მიმდინარეობს დისკუსია იმ ვიდეოს შესახებ,რომელსაც მასწავლებელი წარადგენს. | დისკუსია | | ვიდეო | |
| 6 | საშინაო დავალება | | | | |
| 7 | შეფასება (განმავითარებელი) | | | | |

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

**უცხ.დ.V.2. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი თხრობითი ხასიათის ილუსტრირებული ტექსტის გაგება .**

**უცხ.დ.V.15. მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.**

**უცხ.დ.V.16. მოსწავლეს შეუძლია გაბმულად მეტყველება.**

**უცხ.დ.V.20. მოსწავლეს შეუძლია უცხოურ ენაზე სხვადასხვა ტიპის პროექტის განხორციელება.**

**უცხ.დ.V.22. მოსწავლე აქტიურადაა ჩაბმული სასწავლო პროცესში.**

**უცხ.დ.V.27. მოსწავლეს შეუძლია< თანაკლასელებთან ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობა.**

შეფასება: განმავითარებელი

| კრიტერიუმები | დაბალი | საშუალო | საშუალოზე მაღალი | მაღალი |
|---|---|---|---|---|
| წაკითხულის / მოსმენილის გააზრება | არ შეუძლია ამოეცნოს ენის ერთეულები და ვერ ახერხებს მიღებული | ნაწილობრივ ამოიცნობს ლექსიკურ ერთეულებს და გებულობს | ახერხებს ლექსიკური ერთეულების ამოცნობას ინტერაქციაში,მაგრ | უშეცდომოდ ამოიცნობს ლექსიკურ ერთეულებს და უნაკლოდ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ინფორმაციის აღქმას | მხოლოდ მარტივ ენაზე ნათქვამ მითითებებს. | ამ უჭირს მათი მატივ ინტერაქციაში გამოყენება | შეუძლია მოსმენილი მასალის აღქმა |
| მიცემული დავალების შესრულება | არ შეუძლია შეასრულოს მიცემული დავალება | დახმარების გარეშე ვერ ახერხებს მიცემული დავალების შესრულებას | ასრულებს დავალებას ,მაგრამ შეცდომებით | უშეცდომოდ და დაუხმარებლად ასრულებს მიცემულ დავალებას |
| თანამშრომლობა და კომუნიკაცია | ვერ ახერხებს თანატოლებთან თანამშრომლობას და კომუნიკაციას | უჭირს თანამშრომლობა ურთიერთობა და კომუნიკაცია | ახერხებს კომუნიკაციას,მაგრამ უჭირს თანამშრომლობა | თავისუფლად თანამშრომლობს და ეკონტაქტება თანატოლებს |
| ტექნოლოგიების გამოყენება | ვერ ფლობს კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს | მიზანმიმართულად ვერ იყენებს ისტის ტექნოლოგიებს | მეტწილად ახერხებს ტექნოლოგიების გამოყენებას | მიზანმიმართულად და იყენებს ისტს |

მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები და /ან რუბრიკები ( თან უნდა ერთვოდეს გეგმას)

ხელმოწერა: თ.ჩიკვაიძე

თარიღი: ******************

გამოყენებული მასალები:

ვიდეო ლინკი დისკუსიისთვის---------------https://www.youtube.com/watch?v=cJoo8dUp2eM

Ppt ფაილი 1 პრეზენტაციისთვის---------

Ppt ფაილი საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველების შესახებ--------